კითხვის მეთოდების მნიშვნელობა წიგნიერების უნარების გასავითარებლად დაწყებით საფეხურზე

ნატო ქობულაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
E:mail:nato.kobuladze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.44

დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლება წარმოადგენს წიგნიერების განვითარების საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის შემდგომ აკადემიურ წარმატებას. კითხვის უნარი მოიცავს ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებს, ანბანის ცოდნას, ლექსიკურ მარაგს, გამართულ კითხვას და წაკითხულის გააზრებას. სწავლების პროცესში გამოიყენება სინთეზური და ანალიზური მეთოდები, ასევე თანამედროვე ინოვაციური მიდგომები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს. სწორი სტრატეგიების გამოყენება უზრუნველყოფს არა მხოლოდ კითხვის ტექნიკის, არამედ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ოცდამეერთე საუკუნეში მოსწავლე იშვიათად სვამს კითხვას, „რა უნდა ვისწავლო?“ მოსწავლისთვის პრიორიტეტულია, ჰქონდეს კითხვაზე პასუხი: „როგორ შემიძლია, ამ ცოდნით რაღაც შევცვალო?“ ციფრული და სოციალური რეალობა გვაიძულებს, თვალი გავუსწოროთ პედაგოგიკის ახალ გამოწვევებს. ციფრულ ეპოქაში სწავლა-სწავლების პროცესს თან ახლავს: ინფორმაციის სიჭარბე, მოსწავლეთა მოტივაციის დეფიციტი, კრიტიკული აზროვნების ნაკლებობა და სტანდარტული მიდგომების არაეფექტურობა (Selwyn, 2016). დღევანდელი სკოლა ვეღარ ეყრდნობა მხოლოდ შინაარსზე დაფუძნებულ სწავლებას. საჭირო გახდა ისეთი მიდგომის დანერგვა, რომელიც მოსწავლეს აქცევს ცოდნის შემქმნელად. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე სწრაფად იცვლება. ციფრული ტრანსფორმაცია, ეს არის სასწავლო პროცესის ახალი ფილოსოფია, რომელიც მოითხოვს განსხვავებულ ხედვას, შემოქმედებითობასა და მოქნილობას. მასწავლებლის როლი მრავალფუნქციურია: იგი აღარ არის მხოლოდ ცოდნის გადამცემი, არამედ მოსწავლეთა ინტერესების გამღვიძებელი, ინფორმაციის დამუშავებისა და კრიტიკული აზროვნების ჩამომყალიბებელია. კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა განათლების სისტემაში. წიგნიერების უნარების დაუფლება განსაზღვრავს მოსწავლის შესაძლებლობას, წარმატებით ისწავლოს სხვა საგნები და ჩამოაყალიბოს კრიტიკული აზროვნება. საერთაშორისო კვლევები (OECD, PIRLS) მიუთითებს, რომ დაწყებით კლასებში კითხვის უნარის განვითარება პირდაპირ კავშირშია მოსწავლის აკადემიურ მიღწევებთან. საქართველოში ეროვნული სასწავლო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ პროცესს, რადგან მეოთხე კლასამდე სათანადოდ დაუფლებული უნარები ქმნის მყარ საფუძველს შემდგომი განათლებისთვის.

კითხვის სწავლების ძირითადი კომპონენტებად განიხილება:

- ფონოლოგიური უნარ-ჩვევები – ბგერების აღქმა და ასოებთან დაკავშირება
- ანბანის ცოდნა – ასოების ამოცნობა და მათი კომბინაცია

- ლექსიკური მარაგი – სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა
- გაწაფული კითხვა – ტემპი, ინტონაცია, გამართულობა
- გააზრება – წაკითხულის შინაარსის გაგება და ინტერპრეტაცია

თითოეულ მოსწავლესთან შედეგზე გასასვლელად, მნიშვნელოვანია კითხვის მეთოდებისა და სტრატეგიების სწორი შერჩევა და სწავლის უნივერსალური დიზანის პრინციპების გამოყენება.

კითხვის სწავლების პროცესში გამოიყენება რამდენიმე ძირითადი მიდგომა:

1. სინთეზური მეთოდი – სწავლება ნაწილიდან მთელისკენ: ასო-ბგერიდან მარცვლისკენ, შემდეგ სიტყვისკენ.
2. ანალიზური მეთოდი – სწავლება მთელიდან ნაწილებისკენ: წინადადებიდან სიტყვაზე, შემდეგ ასოებზე დაკვირვება.
3. კომბინირებული მიდგომა – სინთეზური და ანალიზური მეთოდების შერწყმა.
4. მთლიანობითი სტყვების სწავლის მთოდი-სიტყვის მთლიანი აღქმა
5. ინოვაციური მიდგომები – თამაშებზე დაფუძნებული სწავლება, ტექნოლოგიების ინტეგრაცია, დიფერენცირებული სწავლება, მულტისენსორული სწავლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახე მეკვლია, მშობლიური ენის მასწავლებელი კითხვის სწავლების რომელ მეთოდებს იყენებენ და რამდენად შედეგიანია კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე.

კვლევა განხორციელდა ქ.ქუთაისის ექვსი საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის 60 მასწავლებელთან. კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა, დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლების რომელ მეთოდებს იყენებდნენ.

1. გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ კლასებს ასწავლით ქართულ ენასა და ლიტერატურას



2. რომელ მეთოდს იყენებთ წერა-კითხვის სწავლებისას?



აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა უმრავლედობა დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლებისას იყენებს ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს.

3. თქვენს პრაქტიკაში სწ.უნივერსალური დიზაინის რომელ პრინციპს იყენებთ?

სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა მრავალფეროვან გზებს.

4. წერა-კითხვის სწავლებისას "დედა ენის" გარდა რომელ სასწავლო რესურსს იყენებთ:



რესპოდენტების 55% აღნიშნავს, რომ წერა-კითხვის სწავლებისას იყენებს როგორც „დედა ენას“, ასევე გრიფირებულ/დამხმარე სახელმძღვანელოებს. სენსორულ-განმავითარებელ/ალტერნატიულ რესურსებს არ აიყენებს არც ერთ გამოკითხული მასწავლებელი.

5. თქვენი მოსაზრებით, სწავლების რომელი მეთოდოლოგის გამოყენებით გადიხართ საუკეთესო შედეგებზე



გამოკითხულთა 83% სწავლებისას საუკეთესო შედეგებს აღწევს სწავლის სხვადსხვა მეთოდების ინტეგრირებით.

გამოკითხვის მონაცემებით გამოვლინდა შემდეგი მიგნებები:

- მასწავლებელთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ტრადიციულ, ანალიზურ-სინთეზურ კითხვის მეთოდს და ასევე იყენებს კომბინირებულ მეთოდებსაც.
- მასწავლებლების უმრავლესობა ძირითად რესურსად იყენებს „დედა ენასა“ და დამხმარე სახელმძღვანელოებს
- სწავლის უნივერსალური დიზაინის სამი პრინციპიდან, უმრავლესობა მესამე პინციპს ანიჭებს უპირატესობას-მოტივაციის/ჩართულობის მრავალფეროვან გზებს
- უმრავლესობა მასწავლებლებისა იყენებს „დედა ენასა“ და გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ნაწილი „დედა ენასთან“ ერთად იყენებს განმავითარებელ და ალტერნატუყლ რესურსებს, ხოლო უმცირესობა მხოლოდ „დედა ენას“
- საუკეთესო შედეგებზე გასვლისათვის, მასწავლებელთა უმრავლესობა მნიშვნელობას ანიჭებს კითხვის ყველა მთოდის ინტეგრირებას

კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა ნაწილი კითხვის სწავლების ყველა მეთოდის გამოყენებას ანიჭებს მნიშვნელობას, რაც სწავლის უნივერსალური დიზაინის პირველი პრინციპის გამოყენების დამადასტურებელია, თუმცა აქვე მოვდივართ წინააღმდეგობაში, რომ არ იყენებენ სენსორულ/განმავითარებელ რესურსებს. ასევე, ყურადსაღებია, რომ ნაწილი მასწავლებლებისათვის მხოლოდ „დედა ენა“ არის ძირითად რესურსი და ან საერთოდ არ იყენებენ, ან ნაწილობრივ იყენებენ სხვა დამხმარე/განმავითაებელ რესრსებს. თანამედროვე ეპოქაში ხარისხიანი განათლების მისაღებად, მნიშვნელოვანია ყურადება გამახვილდეს და გაძლიერდეს :

- მასწავლებლის როლი – ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ მოსწავლეზე.
- კითხვის სხვადსხვა მეთოდების გამოყენება-წიგნიერების, კრიტიკული და შემოქმედეითი აზროვნების გასავითარებლად
- ტექნოლოგიების გამოყენება – ინტერაქტიული რესურსები და მულტიმედია.
- განმავითარებელი შეფასება – პროგრესის მუდმივი მონიტორინგი
- რეფლექსია, პრობლემების ინდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციების განხოციელება
- მშობლის ჩართულობა – სახლის პირობებში კითხვის წახალისება.

კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე მოითხოვს სისტემურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს. სწორი სტრატეგიების გამოყენება უზრუნველყოფს არა მხოლოდ წიგნიერების განვითარებას, არამედ მოსწავლის სოციალური და ემოციური უნარების გაძლიერებას. სწავლება XXI საუკუნეში უნდა პასუხობდეს იმ გამოწვევებს, რასაც ციფრული ეპოქა გვთავაზობს და გულისხმობს ინტერაქტიურ რესურსებს, მრავალმხრივ კომუნიკაციას, კოლაბორაციულ გარემოსა და ტექნოლოგიების მიზნობრივ ინტეგრაციას. სწორედ ამ გზით იქმნება სასწავლო გამოცდილება, რომელიც არა მხოლოდ ცოდნის შეძენას, არამედ უნარებისა და ღირებულებების განვითარებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: წიგნიერება, კითხვის სწავლების მეთოდები, დაწყებითი საფეხური.

ლიტერატურა:

დოლიძე, თ. (2023). რამდენიმე გზა კითხვის სწავლებისთვის.

USAID. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული – კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე.

სომხიშვილი, ვ. (2024). კითხვისა და წერის უნარების განვითარება დაწყებით საფეხურზე.

შაშვიაშვილი, მ. (2024). კითხვის უნარის განვითარების სტრატეგიები. TSU Digital Library.

მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრი (2025). ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში

Nato Kobuladze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
E:mail:nato.kobuladze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.44

The Importance of Reading Methods for Developing Literacy Skills at the Primary Level

Abstract

Teaching reading at the primary level is the foundation for developing literacy, which determines the student's subsequent academic success. Reading skills include several components: phonological skills, alphabet knowledge, vocabulary, fluent reading, and reading comprehension. Two main traditional approaches are used in the teaching process: the synthetic method (from part to whole) and the analytical method (from whole to parts). However, in modern times, teachers

actively use various interactive learning methods and developmental resources in teaching, which makes teaching reading at the primary level more accessible.

Modern approaches are based on constructivist principles, student-centered activities, and differentiated learning. Research shows that effective strategies include working with a variety of texts, enriching vocabulary, integrated activities, and formative assessment. Using the right methods ensures the development of not only reading techniques, but also critical and creative thinking.

Keywords: literacy, reading teaching methods, primary level.